ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4234275

ნომერი: AR1638397

თარიღი : 18.10.2018

გაცემის თარიღი : 25.10.2018

გაცნობის თარიღი : 26.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოლიკო ვირსალაძის ქუჩა, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3533310 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის

18 ოქტომბერს №AR1638397 განცხადებით მომართეს ზურაბ აბზიანიძემ და კახა ღიბრაძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3533310 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3533310 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჯამბულის ქ. N5/ვირსალაძის ქუჩაზე N8 და N10 სახლებს შორის სასტუმროს კორექტირებული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 12 სექტემბრიდან 2018 წლის 12 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3533310 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2019 წლის 12 ივნისის“ ნაცვლად დაფიქსირდა „2018 წლის 12 ივნისის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვენ მის გასწორებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ზურაბ აბზიანიძის და კახა ღიბრაძის მიერ 2017 წლის 04 აგვისტოს NAR1530115 განცხადებით მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 21 (ოცდაერთი) თვეზე. შესაბამისად, განმცხადებლების მოთხოვნა საფუძვლიანია და სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული „2019 წლის 12 ივნისის“ ნაცვლად „2018 წლის 12 ივნისი“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3533310 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 12 სექტემბრიდან 2019 წლის 12 ივნისის ჩათვლით“.
2. სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3533310 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 სექტემბრის №3533310 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.